

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ  
2011 წლის 8-10 თებერვალს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- ანდრეევი ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №11578/04)

აპლიკანტი სტანკო ნაიდენოვ ანდრეევი არის ბულგარეთის მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1922 წელს და ცხოვრობს სოფიაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე (სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება) დაყრდნობით, ის ჩივის, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა საკომპენსაციო თანხა, რომელიც შეესაბამებოდა მისი კუთვნილი 5 ჰექტარი მიწის ღირებულებას (ნაკვეთი მდებარებდა სოფიის გარეუბანში). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაყვანილ იქნა გზა. განმცხადებელი ჩივის, რომ მას არ მიეცა აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ განაცხადა, რომ ზარალის ანაზღაურების ყველაზე შესაფერისი საშუალება იქნებოდა საქმის განხილვების განახლება. განაცხადი მატერიალური ზარალის ანაზღაურების ნაწილში უარყოფილ იქნა.

- დიმიტროვ-კაზაკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №11379/03)

აპლიკანტი სტოიან დიმიტროვ-კაზაკოვი ბულგარეთის მოქალაქეა, რომელიც დაიბადა 1939 წელს და ცხოვრობს სოფიაში. 1997 წელს მისი სახელი დარეგისტრირდა პოლიციის კარტოტეკაში გაუპატიურების საქმესთან დაკავშირებით, როგორც „მოძალადე“, მას შედეგ, რაც დაიკითხა გაუპატიურებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ის არასოდეს იყო ცნობილი ბრალდებულად. ამის შემდეგ ის მრავალჯერ გაიჩხრიკა პოლიციის მიერ გაუპატიურებისა, თუ ახალგაზრდა გოგონების გაუჩინარების შემთხვევებისას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლსა (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და მე-13 მუხლზე (ქმედითი სამართლებრივი უფლება) დაყრდნობით, აპლიკანტი ჩივის პოლიციის მიერ მისი მონაცემების ეჭვმიტანილთა ბაზაში განთავსების გამო და ასევე ამ საკითხის გასაჩივრებისას გამოძიების არარსებობის გამო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლები. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, აპლიკანტს ასეთი მოთხოვნა განაცხადში არ დაუყენებია.

- გენჩეები ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №33114/04)

აპლიკანტები არიან ბულგარეთის მოქალაქენი და ცხოვრობენ ბულგარეთში. ვიღა გენჩეა დაიბადა 1933 წელს და ცხოვრობს მიჰაილოვოში. მისი ქმარი იოვჩო გენჩევი გარდაცვლილი იპოვეს 1994 წლის 28 თებერვალს სოფლის ახლოს მინდორში. ნანჩო და გეორგი გენჩეები, რომლებიც დაიბადნენ 1953 და 1960 წლებში ცხოვრობენ სტარა ზაგორაში და არიან გარდაცვლილის შვილები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლზე (სიცოცხლის უფლება) დაყრდნობით, განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ მათი მეუღლისა და მამის გარდაცვალების გარემოებები ზერელედ და არასაკმარისად გამოიძია პოლიციამ.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ განმცხადებლებს ერთობლივად მიაკუთვნა 12 000 ევრო (არამატერიალური ზიანისათვის).

- ილიევი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №4473/02 და 34138/04)

აპლიკანტები კრასიმირ ილიევი, მიჰაილ ეკიმძიევი და კატინა ბონჩევა არიან ბულგარეთის მოქალაქენი, დაიბადნენ 1964, 1964 და 1979 წლებში და ცხოვრობენ ბულგარეთში. ბატონი ილიევი ამჟამად სასჯელს იხდის ვარნის ციხეში სხვადასხვა ბრალდებების გამო და ბატონი ეკიმძიევი და ქალბატონი ბონჩევა, რომლებიც არიან მისი კანონიერი წარმომადგენლები სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ცხოვრობენ პლოვდივში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლსა (წამების აკრძალვა) და მე-13 მუხლზე (ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი) დაყრდნობით, ბატონი ილიევი ჩივის, რომ საპატიმროში ის იმყოფება არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში. სამივე განმცხადებელი კონვენციის მე-8 მუხლზე (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დაყრდნობით ჩივის, რომ ციხის ადმინისტრაცია აკონტროლებდა კრასიმირ ილიევისა და მისი წარმომადგენლების კორესპოდენციას და მათ არ გაატარეს ქმედითი ეფექტურის ზომები ამასთან მიმართებაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ:

- დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი ბატონ ილიევთან მიმართებაში (არაადამიანურ და დამამცირებელი მოპყრობის კუთხით. კერძოდ, ეს შეეხებოდა მისი პატიმრობის პირობებს ვარნის ციხეში).
- არ დარღვეულა კონვენციის მე-13 მუხლი ბატონ ილიევთან მიმართებაში (სოფიის ციხეში მისი დაკავების პირობებისას).
- დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი ილიევთან მიმართებაში (ვარნის ციხეში მისი დაკავების პირობებისას).
- ყველა განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.
- არ დარღვეულა მე-13 მუხლი სამივე განმცხადებლის მიმართ კორესპოდენციის გაკონტროლებისას.

სამართლიანი დაკმაყოფილება:

- არამატერიალური ზიანის კუთხით ბატონი ილიევის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 4 000 ევროს გადახდა.
- ხარჯების ანაზღაურების კუთხით სახელმწიფოს დაეკისრა 1000 ევროს გადახდა ბატონი ილიევის სასარგებლოდ.

- ნალბანცი ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №30943/04)

აპლიკანტი ლიუბომირ ნალბანცი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1957 წელს და ცხოვრობს შუმენში (ბულგარეთი). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილსა (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში) და მე-13 მუხლზე (ქმედითი სამართლებრივი დაკმაყოფილება) დაყრდნობით, ბატონი ნალბანცი ჩივის, რომ მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვა, რომელიც ქურდობის ბრალდებას ეხებოდა, დაიწყო 1991 წლიდან და გაჭიანურებით მიმდინარეობდა. 2002 წელს ის ბრალდებულად ცნო სასამართლომ და მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი 2004 წელს გასაჩივრდა სააპელაციო წესით და ძალაში დარჩა. შემდგომში აპლიკანტი კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლზე (მიმოსვლის თავისუფლება) დაყრდნობით ჩივის, რომ მას სამჯერ აუკრძალეს ბულგარეთიდან გასვლა, ორჯერ სასამართლო განხილვებისას და ერთხელ უკვე როცა მის წინააღმდეგ ბრალდება საბოლოოდ დადასტურდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის განხილვის გაჭიანურების გამო), კონვენციის მე-13 მუხლი და მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.

სამართლიანი დაკმაყოფილება: სასამართლომ აპლიკანტის სასარგებლოდ სახელმწიფოს დააკისრა 6500 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანისა და 1565 ევროს გადახდა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- რადკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ №2 (განაცხადი №18382/05)

აპლიკანტი პლამენ რადკოვი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1972 წელს და ამჟამად მკვლელობის ბრალდების გამო სამუდამო პატიმრობის სასჯელს იხდის ბობოვ დოლის ციხეში (ბულგარეთი), რომელიც 2003 წელს მიესაჯა სასამართლოს მიერ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლსა (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-13 მუხლზე (ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი) დაყრდნობით ის ჩივის, რომ ის საპატიმროში იმყოფება არაადეკვატურ პირობებში და ამის გასაჩივრებისათვის მას არ გააჩნია ხელმისაწვდომი ეფექტური ზომები ეროვნულ დონეზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (აპლიკანტის დაკავებისას 2000 წლის 8 მარტიდან 2004 წლის 27 ოქტომბრამდე) და კონვენციის მე-13 მუხლი.

სამართლიანი დაკმაყოფილების კუთხით არამატერიალური ზიანის დასაფარავად სახელმწიფოს დაეკისრა 1 530 ევროს გადახდა აპლიკანტის სასარგებლოდ.

- 3A.CZ s.r.o. ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (განაცხადი №21835/06)

აპლიკანტი არის შპს 3A.CZ s.r.o. რომელიც დაფუძნებულია პრაღაში ჩეხეთის კანონმდებლობის თანახმად. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით (სამართლიანი სასამართლოს უფლება) აპლიკანტი კომპანია ჩივის დავალიანების გადახდასთან დაკავშირებით არსებული საქმის წარმოების შესახებ. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოში მას არ მიეცა მეორე მხარის მიერ წამოყენებულ შენიშვნებზე პასუხის გაცემის საშუალება, რადგან ამის შესახებ მისთვის ცნობილი არ იყო.

სასამართლომ დადგენილად ცნო კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.

- კისილკოვა და კისილკა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (განაცხადი №17273/03)

აპლიკანტები რადმილ კისილკოვა და ზდენეკ კისილკა ჩეხეთის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1927 და 1936 წლებში და ცხოვრობენ პისეკში (ჩეხეთის რესპუბლიკა). საკითხი ეხება სამოქალაქო საქმის განხილვებს, რომელშიც ისინი ითხოვდნენ მისი მეზობლების მიერ წარმოებული მშენებლობის შეჩერებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დაყრდნობით ისინი ჩივიან, რომ მათ არ მიეცათ საშუალება წერილობით ეცნობებინათ სხდომის თავმჯდომარე მოსამართლისათვის თავიანთი შენიშვნები, რომლებსაც ისინი გამოიყენებდნენ საკონსტიტუციო სასამართლოში წარსადგენად.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- მინარიკი გერმანიის წინააღმდეგ (განაცხადი №46677/06)

აპლიკანტი სუსანა მინარიკი გერმანიის მოქალაქეა, დაიბადა 1975 წელს და ცხოვრობს ვილშტატში (გერმანია) და ჩეხურ სააქციო საზოგადოებაში ფლობს აქციების მცირე წილს. აპლიკანტი ჩივის, რომ იგი აიძულეს უდიდესი წილის მფლობელებმა, რომ დაეთმო თავისი აქციები. აპლიკანტი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირრვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს დაეკისრა 2 500 ევროს გადახდა აპლიკანტის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის დასაფარავად.

- ციკაკის გერმანიის წინააღმდეგ (განაცხადი №1521/06)

აპლიკანტი კონსტანტინოს ციკაკის ეროვნებით ბერძენია, დაიბადა 1959 წელს საქმის განხილვის პერიოდში ცხოვრობდა პულჰაიმში (გერმანია). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლსა (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადებში), აპლიკანტი ჩივის, რომ მას არ ჰქონდა საშუალება დაკავშირებოდა თავის შვილს ორი წლის განმავლობაში და ამ საკითხის გადასაწყვეტად სასამართლოში წარმოებული საქმის განხილვა გაჭიანურდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირრვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (გაჭიანურების კუთხით) და კონვენციის მე-8 მუხლი.

სახელმწიფოს დაეკისრა 7 000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 3 100 ევროს გადახდა მატერიალური ზიანის დასაფარავად.

- კოროსიდუ საბერძნეთის წინააღმდეგ (განაცხადი №9957/08)

აპლიკანტი სოფია კოროსიდუ ეროვნებით ბერძენია, დაიბადა 1929 წელს და ცხოვრობს თებეში (საბერძნეთი). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), მე-14 მუხლზე (დისკრიმინაციის აკრძალვა) და კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე დაყრდნობით (საკუთრების უფლება), აპლიკანტი ჩივის, რომ მას უარი ეთქვა მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნის მოთხოვნაზე, იმ მოტივით, რომ იგი მის გარდაცვლილ ქმართან არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ამასთან, კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტისა (საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება) და მე-13 მუხლზე (ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება) დაყრდნობით აპლიკანტი ჩივის გაჭიანურებული საქმის წარმოების გამო, რა დროსაც მისთვის არ იყო ხელმისაწვდომი ეფექტური ზომები ეროვნულ დონეზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი და კონვენციის მე-13 მუხლი. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი, კონვენციის მე-8 მუხლთან და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლთან მიმართებით. მოპასუხე სახელმწიფოს აპლიკანტის სასარგებლოდ დაეკისრა 10 000 ევროს გადახდა (არამატერიალური ზიანისათვის).

- ნისიოტისი საბერძნეთის წინააღმდეგ (განაცხადი №34704/08)

აპლიკანტი ნიკოლას ნისიოტისი ეროვნებით ბერძენია, დაიბადა 1965 წელს და ამჟამად იმყოფება ქალაქ იანინას (საბერძნეთი) სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში. მას 2006 წელს ნარკოტიკების ვაჭრობისათვის მიესაჯა პატიმრობა 6 წლამდე ვადით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) აპლიკანტი ჩიოდა პატიმრებით გადატვირთულ ციხეში არსებულ არასათანადო პირობებზე. კერძოდ, მის საკანში არსებულ პირობებზე, სადაც 50 მ<sup>2</sup> ფართის საკანში განთავსებული იყო 30 პატიმარი, რის გამოც არ იყო სუფთა ჰაერი.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ განმცხადებელს მიაკუთვნა 10 000 ევრო (არამატერიალური ზიანისათვის) და 2 500 ევრო (სასამართლო ხარჯებისათვის).

- „Thaleia Karydi AXTE” საბერძნეთის წინააღმდეგ (განაცხადი №44769/07)

აპლიკანტი „Thaleia Karydi AXTE” არის შპს, რომელიც დაფუძნებულია კუნძულ ზაკანთოსში (საბერძნეთი). 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ადამიანის უფლებათა სასამართლომ აპლიკანტის მიმართ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა (საქმის სამართლი განხივის უფლება) იმის გამო, რომ კომპანიას შეეზღუდა სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვევა (საკუთრების უფლება) იმის გამო, რომ აპლიკანტის წარმომადგენელს სათანადო წესით არ ეცნობა აუციქონის შესახებ, რამაც გამოიწვია სამართლიანი ბალანსის დარღვევა საკუთრების უფლებით სარგებლობასა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის.

სასამართლომ განმცხადებელს მიაკუთვნა 25 000 ევრო (არამატერიალური ზიანისათვის).

- დოღგოვი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი №22475/05)
- კაპანაძე რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი №19120/05)

აპლიკანტები ოლეგ დოღგოვი და ანზორ კაპანაძე, არიან რუსეთის მოქალაქეები, დაიბადნენ 1974 და 1975 წელს. ისინი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მოღარის დაყაჩაღებისათვის იხდიან სასჯელს ტულის ოლქში (რუსეთი). კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) ორივე აპლიკანტი ჩივის, რომ პოლიციაში დაკავებისას მათ მიმართ განხორციელდა არაადამიანური და დამამცირებელ მოპყრობა. დოღგოვი ასევე ჩივის, რომ მის მიმართ

დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი (თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ორივე აპლიკანტთან მიმართებით დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევა. ასევე, დოღგოვის შემთხვევაში მე-3 მუხლის დარღვევა (გამოძიების არ არსებობა). სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილების მიზნით სასამართლომ განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დააკისრა 20 000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანისათვის, ხოლო კაპანაძის სასარგებლოდ 8 300 ევროს გადახდა. ხარჯების ანაზღაურებისათვის კაპანაძის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 850 ევროს გადახდა.

- დოროგიაკინი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი №1066/05)

აპლიკანტი ვიჩესლავ დოროგიაკინი ეროვნებით რუსია, დაიბადა 1974 წელს და ამ დროისათვის სასჯელს იხდის მკვლელობისათვის ალტაის რეგიონში (რუსეთი). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) აპლიკანტი ჩივის, რომ ვიდრე მის მიმართ მიმდინარეობდა სასამართლო განხილვა, იგი იმყოფებოდა პატიმრობის არასათანადო პირობებში.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. სამართლიანი დაკმაყოფილების სახით სასამართლომ განმცხადებლის სასარგებლოდ მოპასუხე სახელმწიფოს დააკისრა 500 ევროს გადახდა (არამატერიალური ზიანისათვის).

- პელევინი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი №38726/05)

აპლიკანტი სერგეი პელევინი ეროვნებით რუსია, დაიბადა 1972 წელს და ცხოვრობს სანქტ-პეტერბურგში (რუსეთი). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის I, III და IV პუნქტებზე დაყრდნობით აპლიკანტი ჩივის, რომ მის მიმართ ყაჩაღობასა და შეიარაღებულ დაჯგუფებაში თანამონაწილეობის ბრალდებით პატიმრობის ვადა უკანონოდ იქნა გაგრძელებული. იგი ასევე ჩივის საქმის გაჭიანურებული წარმოებისათვის, იმის გამო, რომ სააპელაციო სასამართლომ დროულად არ მიიღო გადაწყვეტილება მისი გათავისუფლების შესახებ, რის გამოც მას მოუხდა პატიმრობაში ხანგრძლივი ვადით ყოფნა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I, III და IV პუნქტები. სამართლიანი დაკმაყოფილების სახით, სასამართლომ

მოპასუხე სახელმწიფოს დააკისრა 10 000 ევროს გადახდა (არამატერიალური ზიანისათვის).

- ჯაკსიბერგენოვი უკრაინის წინააღმდეგ (განაცხადი №12343/10)

აპლიკანტი ანვარ ჯაკსიბერგენოვი ყაზახეთის მოქალაქეა, დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს კიევიში (უკრაინა). ყაზახეთში, ორგანიზებული ჯგუფის სავარაუდო წევრობისათვის, რომელსაც ბრალად ედება დიდი ოდენობით ქონების უკანონო მითვისება, ყაზახეთის მთავრობამ მოითხოვა ანვარ ჯაკსიბერგენოვის ექსტრადაცია. უკრაინის გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებით მას დროებით აეკრძალა ქვეყნის დატოვების უფლება. ანვარ ჯაკსიბერგენოვმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლზე დაყრდნობით და მოითხოვა მისი ექსტრადიციის შეჩერება. მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ ექსტრადიცია არ უნდა განხორციელდეს ანვარ ჯაკსიბერგენოვის განაცხადის განხილვამდე.

კონვენციის მე-3 მუხლზე (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით (სამართლიანი სასამართლოს უფლება) ანვარ ჯაკსიბერგენოვი მიუთითებს, რომ მისი ექსტრადიციის შემთხვევაში მის წინააღმდეგ განხორციელდება კონვენციით აკრძალული ქმედება. ამასთან, აპლიკანტი კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლზე დაყრდნობით (მიმოსვლის თავისუფლება) ჩივის ქვეყნის დატოვების უფლების აკრძალვაზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა. ასევე დაადგინა, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში აღვილი არ ექნება კონვენციის მე-3 მუხლისა მე-6 მუხლების დარღვევას. სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა არ დაუყენებია განმცხადებელს.

- ხარჩენკო უკრაინის წინააღმდეგ (განაცხადი №40107/02)

აპლიკანტი ლეონიდ ხარჩენკო ეროვნებით უკრაინელია, დაიბადა 1958 წელს და ცხოვრობს ლვოვში (უკრაინა). 2001 წლის აპრილში იგი დაკავებულ იქნა ეჭვმიტანილის სახით კომპანიის ქონების მითვისების ბრალდებით. 3 წლის შემდეგ მითითებულ საქმეზე წარმოება შეწყდა არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობის გამო. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) იგი ჩივის არასათანადო პირობების გამო, რომელშიც მას მოუწია ყოფნა დაკავების პერიოდში. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „C“ ქვეპუნქტზე და ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებზე დაყრდნობით იგი ჩივის სასამართლოს მოლოდინში მისი ხანგრძლივი ვადით უკანონო პატიმრობის თაობაზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და კონვენციის მე-5 მუხლის I, III და IV ნაწილები. სამართლიანი დაკმაყოფილების სახით, სასამართლომ მოპასუხე სახელმწიფოს დააკისრა 20 000 ევროს გადახდა (არამატერიალური ზიანისათვის).

- პლეშკოვი უკრაინის წინააღმდეგ (განაცხადი №37789/05)

აპლიკანტი ეგგენი პლეშკოვი ეროვნებით უკრაინელია, დაიბადა 1960 წელს და ცხოვრობს ბელგოროდში (რუსეთი). მის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება თრეფიკინგისა და ადამიანის უკანონო ვაჭრობის ბრალდებით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის I, III და IV პუნქტებსა და (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება), ასევე კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტზე (საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება) დაყრდნობით იგი ჩივის მისი ხანგრძლივი ვადით დაკავების თაობაზე (2004 წლის 25 მაისიდან 2006 წლის 31 ივლისამდე), რა დროსაც მას არ ჰქონდა გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა სასამართლოში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის III და IV პუნქტებისა და კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტის დარღვევა. სამართლიან დაკმაყოფილების სახით, სასამართლომ მოპასუხე სახელმწიფოს დააკისრა 20 000 ევროს გადახდა (არამატერიალური ზიანისათვის).

- სერიაინი და სხვები უკრაინის წინააღმდეგ (განაცხადი №4909/04)

აპლიკანტები ალექსანდრე სერიაინი, ირინა კოლომეცი და ლარისა ლოგვინოვა ეროვნებით უკრაინელები არიან, დაიბადნენ 1960, 1960 და 1959 წელს და ცხოვრობენ კიევში (უკრაინა). კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლზე (საკუთრების უფლება), ასევე კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტზე (საქმის სამართლიანად განხილვის უფლება) დაყრდნობით, აპლიკანტები ჩივიან, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკანონოდ დაიწყეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები შენობის სხვენში, რომელიც შემდგომ გადაეცა მე-3 პირს და უკრაინის სასამართლომ მითითებულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების უფლება) ხელისუფლების ორგანოების მიერ აპლიკანტების თანხმობის გარეშე სხვენში ჩატარებული სამუშაოებისათვის, ასევე სხვენის ჩამორთმევის და მე-3 პირის გადაცემის გამო.

სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტის დარღვევა. სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ მოთხოვნა აპლიკანტს არ დაუქენებია დროულად.

## საქმის გაჭიანურებული წარმოება

ქვემოთ ჩამოთვლილ საქმეებზე აპლიკანტები ჩივიან საქმის გაჭიანურებულ წარმოების გამო.

სისხლის სამართლის საქმეები:

- გოსპოდინოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №38646/04)
- ვიჰოსი საბერძნეთის წინააღმდეგ (განაცხადი №34692/08)

მითითებული საქმეები შეეხება სისხლის სამართლის საქმის განხილვის დაუსაბუთებელ გაჭიანურებას, ერთ შემთხვევაში სასიკვდილო მუქარისა და მეორე შემთხვევაში ბავშვთა პორნოგრაფიის მასალის დამზადების გამო აღძრულ საქმეებზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილისა და მე-13 მუხლის დარღვევა ორივე საქმეზე.

სხვა კატეგორიის საქმეები:

- კისელიოვა უკრაინის წინააღმდეგ (განაცხადი №8944/07)
- მარჩენკო უკრაინის წინააღმდეგ (განაცხადი №24857/07)
- რუდიჩი უკრაინის წინააღმდეგ (განაცხადი №48874/07)

მითითებულ საქმეებზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.